

შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქ. თბილისი
2019 წ.

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.....	4
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა.....	6
და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ზოგადი ინფორმაცია.....	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფურველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
შემოსავლის აღიარება.....	8
ხარჯების აღიარება.....	8
სხვა ხარჯები.....	9
უცხოური ვალუტის კონვერტაცია.....	9
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	9
მოგების გადასახადი.....	10
ძირითადი საშუალებები.....	10
აქტივების გაუფასურება.....	11
იჯარა.....	12
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
სავაჭრო ვალდებულებები.....	13
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.....	13
1. დივიდენდები.....	13
2. ამონაგები.....	13
3. ფინანსური დანახარჯები.....	14
4. სხვა ხარჯები.....	14
5. მოგების გადასახადის ხარჯი.....	15
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	15
8. ძირითადი საშუალებები.....	16
9. არამატერიალური აქტივები.....	17
10. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები.....	17

11.	საგადასახადო ვალდებულება.....	17
12.	საწესდებო კაპიტალი.....	18
13.	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	18
14.	თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები.....	18
15.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	19
16.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	19
17.	ფუნქციონირებადი საწარმო.....	19
18.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

**შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
		ლარი	ლარი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	15	45 323,00	174 363,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 307 014,00	1 136 099,00
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	170 412,00	181 490,00
სხვა მიმდინარე აქტივები			3 133,00
		1 522 749,00	1 495 085,00
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			-
ძირითადი საშუალებები	9	548 621,00	428 952,00
არამატერიალური აქტივები	9	4 610,00	5 423,00
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-
		553 231,00	434 375,00
სულ აქტივები		2 075 980,00	1 929 460,00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი			-
სავაჭრო ვალდებულებები	12	331 448,00	325 848,00
გადასახდელი პროცენტი			
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	13	111 005,00	140 635,00
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის			-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		207 660,00	89 966,00
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		345 608,00	400 658,00
		995 721,00	957 107,00
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი			
სხვა სესხები			
გადასახდელი პროცენტი			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	-
		-	-
სულ ვალდებულებები		995 721,00	957 107,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	200,00	200,00

გაუნაწილებელი მოგება		1 080 059,00	972 153,00
სულ საკუთარი კაპიტალი		1 080 259,00	972 353,00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 075 980,00	1 929 460,00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ 01024006505)

**შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)**

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა
და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

	შენიშვნები	2018	2017
		ლარი	ლარი
ამონაგები	2	8 112 196,00	8 665 549,00
სხვა შემოსავალი		2 415,00	2 178,00
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(724 108,00)	(777 001,00)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	16	(5 308 962,00)	(5 725 532,00)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	(135 505,00)	(99 273,00)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
სხვა საოპერაციო ხარჯები	4	(1 162 132,00)	(1 184 761,00)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	7		
ფინანსური დანახარჯები	3	(6 849,00)	
წლის ზარალი(მოგება დაბეგვრამდე)		777 055,00	881 160,00
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-	(129 304,00)
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		777 055,00	751 856,00
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		972 353,00	1 144 410,00
დივიდენდები	1	(669 149,00)	(924 113,00)
წმინდა მოგება წლის ბოლოს		1 080 259,00	972 153,00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ 01024006505)

**შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	შენიშვნა	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		7 759 977,00
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		5 812 297,00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		1 947 680,00
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი მოგების გადასახადი		55 728,00
გადახდილი სხვა გადასახადები		1 071 787,00
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		820 165,00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალების შეძენა		255 834,00
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი		
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები		
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		255 834,00
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად		
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან		
შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)		
გადახდილი დივიდენდები		693 371,00
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(693 371,00)
სავალუტო კურსის ეფექტი		-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(129 040,00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	15	174 363,00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	15	45 323,00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ 01024006505)

ზოგადი ინფორმაცია

„ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლის 20 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. № 13. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამედიცინო მომსახურება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფურველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა დამიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა:	15-20 % პროცენტი
არამატერიალური აქტივები	15% პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთისნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავამდყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

1. დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

	2018 ლარი	2017 ლარი
გაცემული დივიდენდები	669 149	924 113

2. ამონაგები

ამონაგები:	2018 ლარი	2017 ლარი
სამედიცინო მომსახურებიდან (ამბულატორია)	1 501 492	1 522 970
სამედიცინო მომსახურებიდან (სტაციონარი)	6 605 404	7 141 379
უწყვეტი სამედიცინო განათლება	5 300	1 200
სულ ამონაგები	8 112 196	8 665 549

2017 წელს სხვა შემოსავალი მოიცავს:

- ✓ მიღებულ შემოსავალს სავალუტო ნაშთების გადაფასებიდან - 129 ლარს;
- ✓ უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური ფასეულობების საფასური - 272 ლარს;
- ✓ უსასყიდლოდ გაცემული მატერიალური ფასეულობების საფასური - 1 607 ლარს;
- ✓ საჯარიმო სანქციის საფასური - 170.

2018 წელს სხვა შემოსავალი მოიცავს:

- ✓ მიღებულ შემოსავალს სავალუტო ნაშთების გადაფასებიდან - 720 ლარს;
- ✓ უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური ფასეულობების საფასური - 1 217 ლარს;
- ✓ უსასყიდლოდ გაცემული მატერიალური ფასეულობების საფასური - 163 ლარს;
- ✓ საჯარიმო სანქციის საფასური - 315;

3. ფინანსური დანახარჯები

	2018 ლარი	2017 ლარი
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(6849)	(0)
ბანკის სესხის პროცენტი	(0)	(0)
სხვა სესხის პროცენტი	(0)	(0)
სულ	(0)	(0)

4. სხვა ხარჯები

	2018 ლარი	2017 ლარი
იჯარა	468 576	455 996
სამეურნეო ხარჯი	55 253	45 538
საკანცელარიო ხარჯი	24 694	31 353
კომუნიკაციის ხარჯი	3 546	2 956
რეკლამის ხარჯი	17 417	500

გამოკვლევის და დიაგნოსტიკის ხარჯი	465 598	500 650
საბანკო და ტერმინალის ხარჯი	16 645	13 224
სხვა ხარჯი	110 403	134 544
სულ	1 162 132	1 184 761

5. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის 2017 და 2018 წლებში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მოგების გადასახადმა შეადგინა:

- ✓ 2017 წელს - 129 304 ლარი;
- ✓ 2018 წელს - 0 ლარი.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 ლარი	2017 ლარი
დებიტორული დავალიანება (სოციალური მომსახურეობის სააგენტო -საყოველთაო ჯანდაცვა)	826 978	695 597
მოთხოვნები სხვადასხვა პირების მიმართ	480 036	440 502
სულ	1 307 014	1 136 099

დებიტორული დავალიანება წარმოშობილია სამედიცინო სამუშაოების მიწოდებიდან, გადახდის ვადები არ აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდებამათ სამართლიან ღირებულებებს.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2018 ლარი	2017 ლარი
ნედლეული და მასალები წლის დასაწყისში	181 490	146 668
ნედლეული და მასალების შეძენა	713 030	811 823
გახარჯული ნედლეული და მასალები	724 108	777 001
ნედლეული და მასალების ნაშთი წლის ბოლოს	170 412	181 490

8. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სამედიცინო მოწყობილო ბა	არამატერი ალური აქტივი	კომპიუტერ ული ტექნიკა და სხვა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება					
1 იანვარი, 2017 წ.	9029	311879	6380	59855	387143
შემოსვლა	0	135539	0	10967	146506
გასვლა	0		0	0	0
31 დეკემბერი, 2017 წ.	9029	447418	6380	70822	533649
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2017 წ.	0		0	0	0
წლიური ცვეთა	1355	84083	957	12878	99273
გაუფასურება	0	0	0	0	
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			0		
31 დეკემბერი, 2017 წელი	1355	84083	957	12878	99273
საბალანსო ღირებულება	7674	363335	5423	57944	434376
31 დეკემბერი, 2017 წ.					
1 იანვარი, 2018 წ.	9029	447418	6380	70822	533649
შემოსვლა	0	224178	0	31656	255834
გასვლა	0	-1474	0	0	-1474
31 დეკემბერი, 2018 წ.	9029	670122	6380	102478	788009
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2018 წ.	1355	84083	957	12878	99273
წლიური ცვეთა	1151	117208	813	16333	135505
გაუფასურება	0	0	0	0	0
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი, 2018 წელი	2506	201291	1770	29211	234778
საბალანსო ღირებულება	6523	468831	4610	73267	553231
31 დეკემბერი, 2018 წ.					

9. არამატერიალური აქტივები

	2018 ლარი	2017 ლარი
საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“	174	205
სამედიცინო პროგრამა „მედსერვისი“	4436	5218
სულ	4610	5423

10. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები

	2018 ლარი	2017 ლარი
ვალდებულებები რეზიდენტ მომწოდებლებთან	288 734	293 466
ვალდებულებები არარეზიდენტ მომწოდებლებთან	42 714	32 382
სულ	331 448	325 848

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული ნედლეულის და მასალების ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მათი საბალანსო ღირებულებისგან.

11. საგადასახადო ვალდებულება

	2018 ლარი	2017 ლარი
მოგების გადასახადი	43 382	99109
საშემოსავლო გადასახადი	49 971	20 836
დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი	17 652	20 690
სულ	111 005	140 635

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და წარმოადგენს 200 ლარს. კომპანიის წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2018 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018 ლარი	2017 ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	25 079	15 105
ფული საბანკო ანგარიშებზე	20 244	159 258
სულ	45 323	174 363

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

14. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები

	2018 ლარი	2017 ლარი
დარიცხული ხელფასები	5 308 962	5 725 532
გაცემული ხელფასები	5 101 302	5 635 566
გასაცემი ხელფასები	207 660	89 966

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემულ ანაზღაურებას.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელიმხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა დათანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

17. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ მომსახურების მიწოდება და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.

**შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
		ლარი	ლარი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	15	45 323,00	174 363,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 307 014,00	1 136 099,00
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	170 412,00	181 490,00
სხვა მიმდინარე აქტივები			3 133,00
		1 522 749,00	1 495 085,00
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			-
ძირითადი საშუალებები	9	548 621,00	428 952,00
არამატერიალური აქტივები	9	4 610,00	5 423,00
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-
		553 231,00	434 375,00
სულ აქტივები		2 075 980,00	1 929 460,00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი			-
სავაჭრო ვალდებულებები	12	331 448,00	325 848,00
გადასახდელი პროცენტი			
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	13	111 005,00	140 635,00
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის			-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		207 660,00	89 966,00
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		345 608,00	400 658,00
		995 721,00	957 107,00
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი			
სხვა სესხები			
გადასახდელი პროცენტი			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	-
		-	-
სულ ვალდებულებები		995 721,00	957 107,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	200,00	200,00

გაუნაწილებელი მოგება		1 080 059,00	972 153,00
სულ საკუთარი კაპიტალი		1 080 259,00	972 353,00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 075 980,00	1 929 460,00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.



დირექტორი:

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ 01024006505)

**შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)**

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა
და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

	შენიშვნები	2018	2017
		ლარი	ლარი
ამონაგები	2	8 112 196,00	8 665 549,00
სხვა შემოსავალი		2 415,00	2 178,00
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(724 108,00)	(777 001,00)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	16	(5 308 962,00)	(5 725 532,00)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	(135 505,00)	(99 273,00)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
სხვა საოპერაციო ხარჯები	4	(1 162 132,00)	(1 184 761,00)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	7		
ფინანსური დანახარჯები	3	(6 849,00)	
წლის ზარალი(მოგება დაბეგვრამდე)		777 055,00	881 160,00
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-	(129 304,00)
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		777 055,00	751 856,00
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		972 353,00	1 144 410,00
დივიდენდები	1	(669 149,00)	(924 113,00)
წმინდა მოგება წლის ბოლოს		1 080 259,00	972 153,00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.

დირექტორი:



ივანე ქევანიშვილი
(3/ნ 01024006505)

**შპს “ყელ ყურ ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი
ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა” (ს/კ: 202463752)**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	შენიშვნა	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		7 759 977,00
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		5 812 297,00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		1 947 680,00
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი მოგების გადასახადი		55 728,00
გადახდილი სხვა გადასახადები		1 071 787,00
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		820 165,00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალების შეძენა		255 834,00
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი		
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები		
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		255 834,00
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად		
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან		
შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)		
გადახდილი დივიდენდები		693 371,00
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(693 371,00)
სავალუტო კურსის ეფექტი		-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(129 040,00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	15	174 363,00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	15	45 323,00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 აგვისტოს.

დირექტორი:



ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ 01024006505)